საქ. სსრ კულტურის მინისტრს ამხ. ოთარ თაქთაქიშვილს

გოეთეს საერთაშორისო საზოგადოების საქართველოს განყოფილების პრეზიდენტის დავით ლაშქარაძის

განცხადება

მოგახსენებთ, რომ 1970 წელს საქ.კპ ცკ-ის ნებართვის შეიქმნა გოეთეს საერთაშორისო საზოგადოების /ვაიმარი/ საქართველოს განყოფილება, რომლის უმთავრესი ამოცანაა ხალხთა შორის მეგობრული და კულტურული ურთიერთობის დამყარება და განმტკიცება. გოეთეს საერთაშორისო საზოგადოების საქართველოს განყოფილების პრეზიდენტად არჩეულ იქნა ცნობილი გერმანისტი ოთარ ჯინორია. საზოგადოება აერთიანებს 5-ვე მატერიკის 100-ზე მეტ სახელმწიფოს წარმომადგენლებს, ხოლო მის პრეზიდიუმში, რომელიც 24 კაცისაგან შედგება, გარდა დასავლეთ და აღმოსავლეთ გერმანიის წარმომადგენლებისა, არჩეულია საფრანგეთის ინგლისის, აშშ-ის, უნგრეთის, ჩეხოსლოვაკიის წარმომადგენლები. 1970 წელს პრეზიდიუმში საბჭოთა კავშირიდან არჩეულ იყო პროფ. რ.სამარინი /მოსკოვი/ და ოთარ ჯინორია /თბილისი/. რ.სამარინის გარდაცვალების შემდეგ გოეთეს საერთაშორისო საზოგადოების მოსკოვის განყოფილებამ მუშაობა შეწყვიტა. მიუხედავად გოეთეს საზოგადოების პრეზიდენტის პროფ. კ.ჰ.ჰაანის და მთელი პრეზიდიუმის დიდი მონდომებისა, დღემდე არ მოხერხდა პრეზიდიუმის ახალი წევრის არჩევა მოსკოვიდან. საბჭოთა კავშირს ჰყავს ერთადერთი წარმომადგენელი გოეთეს საერთაშორისო საზოგადოების პრეზიდიუმში /ვაიმარი/ ჩემი სახით, როგორც გოეთეს საერთაშორისო საზოგადოების საქართველოს განყოფილების პრეზიდენტი ამჟამად.

გოეთეს საერთაშორისო საზოგადოების პრეზიდიუმის სხდომები წესდების მიხედვით იმართება წელიწადში ერთხელ, როგორ წესი, ვაიმარში, რომელსაც პრეზიდიუმის წევრი უნდა ესწრებოდეს პირადად. ხოლო საზოგადოების ყრილობები ტარდება ორ წელიწადში ერთხელ /კენტ წლებში/. ყრილობაზე მონაწილეობის მისაღებად იწვევენ გოეთეს საზოგადოების ადგილობრივი განყოფილებების აქტიურ წევრებს სხვადასხვა ქვეყნებიდან. როგორც წესი, საქართველოდან, პრეზიდენტის

SOVLAB

გარდა, ყოველ ყრილობაზე 7-8 კაცი იღებდა მონაწილეობას.

1970 წელს პრეზიდიუმის სხდომაზე და 1971 წელს ყრილობაზე მონაწილეობის მისაღებად საქართველოს წარმომადგენლები გაგზავნილ იყვნენ თქვენდამი რწმუნებული სამინისტროდან. მომდევნო წლებში, როგორც ჩანს, მდგომარეობა გართულდა და ამიტომ, როგორც პრეზიდიუმის სხდომებზე, ისე ყრილობებზე, პრეზიდიუმის პირადი მიწვევით საქართველოს დელეგატები მიდიოდნენ "ოვირის" ხაზით. მაგრამ 1977 წელს "ოვირმა" გაგვაფრთხილა, რომ ეს არის კანონის დარღვევა და მომავალში დელეგატების პირადი მიწვევით გაფორმებაზე "ოვირი" უარს ამბობს.

შექმნილი ვითარების შესახებ, მიმდინარე წელს მე უკვე საუბარი მქონდა ვაიმარში გოეთეს საერთაშორისო საზოგადოების პრეზიდიუმის სხდომაზე და პრეზიდენტს - კ.ჰ.ჰაანს - გადაწყვეტილი აქვს ამ საკითხის მოსაგვარებლად გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცკ-ის საშუალებით მიმართოს საბჭოთა კავშირის ცკ-ს, საკითხის საბოლოოდ მოსაწესრიგებლად, რაც მოხდება მომავალი წლის ყრილობის შემდეგ, რომელიც უნდა გაიმართოს 1979 წლის 6-10 ივნისს.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, გოეთეს საერთაშორისო საზოგადოების ძირითადი ამოცანაა ხალხთა შორის მეგობრული და კულტურული ურთიერთობის გაღრმავება. სწორედ ამ გზით წარმართავს თავის საქმიანობას საზოგადოების საქართველოს განყოფილებაც, რომლის მუშაობას უაღრესად მაღალ შეფასებას აძლევს გოეთეს საერთაშორისო საზოგადოების პრეზიდიუმი და პირადად მისი პრეზიდენტი. 1977 წლის ყრილობაზე /ვაიმარი/ ჩვენი განყოფილება დასახელებულ იქნა, როგორც ყველაზე აქტიური და ძლიერი ორგანიზაცია. ჩვენი მუშაობის შესახებ არაერთხელ აღინიშნა ჟურნალ "გოეთეს წელიწდეულში" /ვაიმარი/ "ერფურტის გაზეთში" და სხვაგან. ხოლო ჩვენი გერმანისტების შრომები, ქართულ-გერმანული ლიტერატურის პრობლემატიკის შესახებ წარმატებით იბეჭდება გდრ-ში, ძალზე ავტორიტეტული ჟურნალში "გოეთეს წელიწდეული", რომელიც მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში პოულობს კვალიფიციურ მკითხველს. საქართველოს განყოფილების მუშაობის მაღალი შეფასება მისცა პრეზიდენტმა პროფ. დოქტ. ჰაანმა, მისი საქართველოში ყოფნის დროს, ტელევიზიით და ინტერვიუში, რომელიც გამოქვეყნდა 1977 წლის მარტში, გაზეთ "ზარია ვოსტოკაში".

SOVLAB

გთხოვთ, გაითვალისწინოთ ზემოაღნიშნული ვითარება და, ვიდრე საბოლოოდ არ მოწესრიგებულა გოეთეს საზოგადოების ყრილობაზე /ვაიმარში/ საქართველოს დელეგაციის გაგზავნის საკითხი, ამჯერად კიდევ ერთხელ უზრუნველვყოთ ჩვენი დელეგაციის გამგზავრება 1979 წლის ივნისში, გოეთეს საერთაშორისო საზოგადოების ყრილობაზე მონაწილეობის მისაღებად 8-9 კაცის შემადგენლობით, რომლებიც მიწვეული იქნებიან გოეთეს საერთაშორისო საზოგადოების პრეზიდიუმის მიერ.

გოეთეს საერთაშორისო საზოგადოების
საქ.განყოფილების პრეზიდენტი: /დ.ლაშქარაძე/